საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3877/01
15/04/2020

3877-01-2-202004151508

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალს“
მის: ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქ. №4

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2020 წლის 27 მარტს წარმოდგენილი წერილი (N5281), რომელიც ეხება ტერმინალის მიმდინარე საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (5000 კუბ.მ. მოცულობის (5 ცალი) ნავთობპროდუქტების საცავი რეზერვუარის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში და თანდართულ დოკუმენტაციაში გარკვეული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას:

- გზშ-ს ანგარიშის თანახმად კომპანია 2021 -2022 წლებში უზრუნველყოფს, რომ გადახედილი იქნას და განახლდეს ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტების გაწმენდის საპროექტო დოკუმენტაცია და სამინისტროში წარადგენს 2012 წლის 20 მარტის N15 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ცვლილებების შესახებ წინადადებათა პაკეტს. ამასთან გზშ-ის ანგარიშის მიხედვით 2023 წელამდე **სავარაუდოდ** ექსპლუატაციაში დარჩება არსებული 1200 მ³ მოცულობის რკინაბეტონის საცავი ნავთობშლამების დროებითი განთავსებისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში **დასაზუსტებულია** კონკრეტულად რა ცვლილებები შეიძლება იყოს გათვალისწინებული 2012 წლის 20 მარტის N15 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრულ საქმიანობაში და ამავე გზშ-ს ფარგლებში უნდა იყოს შეფასებული ცვლილებებით გამოწვეული ზემოქმედება. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია 2012 წლის 20 მარტის N15 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ ვალდებულებაში დარჩენილი (საწარმოში წარმოქმნილი ნავთობშლამების ახალი მოცულობების განთავსებისათვის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტების გაწმენდისათვის განკუთვნილი) შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ (შესაბამისი საპროექტო მონაცემების მითითებით).

ზემოაღნიშნულთან ერთად გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი ნავთობშლამების განთავსებისა და ნავთობით დაბინძურებული გრუნტის გაწმენდის ბაზის ექსპლუატაციაში შესვლამდე წარმოქმნილი ნარჩენების-ნავთობშლამების მართვის საკითხები;

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე თანდართული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების და ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ზდგ-ის და ზდჩ-ის ნორმების პროექტებში გასასწორებელია ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ ნორმების მოქმედების ვადად 2020-2024 წლების ნაცვლად მითითებული უნდა იყოს 2020-2025 წლები, ვინაიდან ნორმების პროექტი მუშავდება 5 წლის ვადით;

- ამასთან ზდგ ნორმების პროექტში მოცემულია უახლოეს მოსახლემდე მანძილი, ასევე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რაოდენობრივი და გაბნევის ანგარიშები მთლიანად ტერმინალისთვის. ვინაიდან წარმოდგენილი პროექტი ეხება 5000 კუბ.მ. მოცულობის (5 ცალი) ნავთობპროდუქტების საცავი რეზერვუარის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტს, საჭიროა დოკუმენტში დაკონკრეტდეს უახლოეს მოსახლემდე მანძილი საპროექტო ტერიტორიიდანაც და შესაბამისი წერტილი გათვალისწინებულ იქნეს გაბნევის ანგარიშშიც;

- **ზდჩ ნორმების პროექტში**
    - ჩაშვების წერტილი #1 (ნავმისადგომის უბანი) დასაზუსტებელია რამ გამოიწვია საწარმოო-სანიაღვრე წყლების წლიური რაოდენობის ცვლილება (შემცირება); ვინაიდანა ტექსტში გვ.42 მითითებულია, რომ ახალი რეზერვუარის მშენებლობის პროცესში შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ წყალჩაშვების პარამეტრები არ შეიცვლება. ხოლო, ექსპლუატაციაში შეყვანის შემდეგ, მცირედით შეიცვლება N1 და N4 საკანალიზაციო სისტემებში მოდენილი სანიაღვრე წყლების რაოდენობები და შესაბამისად, წყალჩაშვების პარამეტრები;
    - ჩაშვების წერტილი #4 დასაზუსტებელია რამ გამოიწვია ჩამდინარე საწარმოო-სანიაღვრე წყლების წლიური რაოდენობის ცვლილება;
    - ჩაშვების წერტილი #3 - ჩამდინარე წყლების ჩაშვების ნორმების ცხრილიდან ამოსაღებია პირობითად სუფთა წყლის კონცენტრაციები;
    - იმ შემთხვევაში, თუ მოხდება პირობითად სუფთა წყლების დაბინძურება, დაზუსტებას საჭიროებს იქნება თუ არა გამწმენდი ნაგებობის გამტარუნარიანობა და გაწმენდის ეფექტურობა საკმარისი ზემოაღნიშნული წყლების გასაწმენდად;
    - გაურკვეველია და დაზუსტებას საჭიროებს პირობითად სუფთა წყლების მონიტორინგის საკითხი;
    - გაურკვეველია და დაზუსტებას საჭიროებს ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტების გაწმენდის ბაზის ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი, ვინაიდან 2019 წლის 28 ივნისს

სამინისტროსთან შეთანხმებულ ზდჩ-ის ნორმების პროექტში და გზშ-ის ანგარიშზე თანდართულ ზდჩ-ის პროექტში სხვადასხვა თარიღებია მითითებული (გვ.6,7,32).

- ზდჩ-ის ანგარიშში სიტყვა „ნორმატივის“ ნაცვლად გამოყენებული უნდა იქნეს სიტყვა „ნორმა“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო წყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებას. სამინისტრო ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც დაზუსტდება და სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი ერთიანი, შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული გზშ-ის ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე